მირანდა ბაშელეიშვილი

ირანი და თალიბანი: მტრული ურთიერთობებიდან პრაგმატიზმამდე

რეზიუმე

ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. აშშ-ის და რეგიონული აქტორების მიერ წლების განმავლობაში თალიბანთან მოლაპარაკებების წარმოება, ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაჯგუფების ზომიერი ნაწილის ჩართვას გულისხმობდა. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებებისა, თალიბანის ავღანეთის მმართველობაში დაბრუნების პროცესი განსაზღვრული გეგმისგან მკვეთრად განსხვავებულად წარიმართა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა წლების განმავლობაში, აქტიურადაა ჩართული მეზობელ ავღანეთში მიმდინარე მოვლენებში და ცდილობს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

სტატიაში განხილულია თალიბანის რეჯიმს ირანის დამოკიდებულების სახეცვლილების განმაპირობებელი ფაქტორები და ავღანეთ-ირანის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები თანამედროვე ეტაპზე.

საკვანძო სიტყვები: *ავღანეთი, ირანი, თალიბანი, მაზარ-ე შარიფი, ტერორიზმი.*

შესავალი

ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. აშშ-ის და რეგიონული აქტორების მიერ წლების განმავლობაში თალიბანთან მოლაპარაკებების წარმოება, ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაჯგუფების ზომიერი ნაწილის ჩართვას გულისხმობდა. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებებისა, თალიბანის ავღანეთის მმართველობაში დაბრუნების პროცესი განსაზღვრული გეგმისგან მკვეთრად განსხვავებულად წარიმართა.

თალიბებმა საერთაშორისო კოალიციური ძალების დაჩქარებული გასვლის ფონზე, ფაქტობრივად უბრძოლველად დაიკავეს ქვეყნის თითქმის ყველა პროვინცია, პრეზიდენტის სასახლე აიღეს და ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ავღანეთში შექმნილმა ახალმა რეალობამ განაპირობა რეგიონული თუ საერთაშორისო აქტორების პოზიციების და მიდგომების მეტ-ნაკლები ცვლილება.

ირანის ისლამური რესპუბლიკა წლების განმავლობაში, აქტიურადაა ჩართული მეზობელ ავღანეთში მიმდინარე მოვლენებში და ცდილობს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის ყოფნის პერიოდში, ირანი დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო. 1998 წელს მაზარ-ე შარიფში თალიბანის წევრების მიერ ირანელი დიპლომატებისა და ჟურნალისტის მკვლელობის შემდეგ, ირანსა და თალიბანს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. 2001 წელს ირანმა მხარი დაუჭირა აშშ-ის მეთაურობით საერთაშორისო კოალიციის მიერ თალიბანის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას.

2021 წელს, თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, ირანისთვის ისევ დღის წესრიგში დგას ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა - ტერორიზმის საფრთხე, ლტოლვილების ახალი ტალღა, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ასევე, თალიბანის დამოკიდებულება შიიტური უმცირესობის მიმართ. ირანის ხელისუფლება ცდილობს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში თალიბანთან ჩამოყალიბებული პრაგმატული ურთიერთობების ფონზე, შეინარჩუნოს ბალანსი ორმხრივ ურთიერთობებში. ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს ავღანეთში ინკლუზიური მთავრობის ჩამოყალიბებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ავღანეთის ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ინტერესები. ირანსა და თალიბანს შორის არსებული პრაგმატული ურთიერთობების გაგრძელება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გზას აირჩევს თალიბანი ქვეყნის სამართავად. თალიბანის მმართველ რგოლში რადიკალური ელემენტების გაძლიერება ირანსა და ქაბულს შორის იდეოლოგიურ ნიადაგზე დაპირისპირების შესაძლებლობას გაზრდის.

მოლაპარაკებები და შეთანხმება თალიბანსა და აშშ-ს შორის

2021 წელს ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნებას წინ უძღოდა გარკვეული პროცესები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, დაჯგუფების ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნების საფუძველი შექმნა, თუმცა ფორმა მიღებული რეალობისგან მკვეთრად განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

თითქმის 2 ათწლეულის განმავლობაში ავღანეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, აშშ-მა მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა თალიბანთან მოლაპარაკებების წარმოებას ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით. ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე პროცესის შედეგად, კატარის დედაქალაქ დოჰაში[1] 2020 წლის 29 თებერვალს აშშ-სა და თალიბანს შორის შეთანხმება გაფორმდა. ამ დოკუმენტით, აშშ-ს 14 თვის განმავლობაში (2021 წლის მაისისთვის) ავღანეთიდან უნდა გაეყვანა საკუთარი სამხედრო და არასამხედრო კონტინგენტი. თალიბანის მთავარ ვალდებულებას ავღანეთში ცეცხლის შეწყვეტა და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ თავდასხმების მოწყობის პრევენცია და ავღანეთის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ჩართვა წარმოადგენდა. სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად უნდა შექმნილიყო კოალიციური მთავრობა, რომელიც ავღანეთში მშვიდობის დამყარებასა და აღმშენებლობის პროცესს უხელმძღვანელებდა.[2]

თალიბანსა და აშშ-ს შორის შეთანხმების გაფორმების ფონზე, გააქტიურდა „ავღანეთის სამშვიდობო პროცესი“, რომელიც მაშინდელ მთავრობასა და თალიბანს, ასევე სხვა მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის შერიგებას და ქვეყნის აღმშენებლობის მიზნით თანამშრომლობას გულისხმობდა. საერთაშორისო პარტნიორების აქტიურობით ავღანეთის მაშინდელ მთავრობასა და თალიბანს შორის 2020 წლის 2 დეკემბერს ისტორიული 3 გვერდიანი დოკუმენტი შედგა. ავღანეთის მთავრობა და თალიბანი მიღწეული შეთანხმებით,

[1] 2013 წელს თალიბანის ოფისი კატარის დოჰაში გაიხსნა.

[2]“Agreement for Bringing peace to Afghanistan between the Islamic Emirate of Afghanistan which is not recognized by the United states as a state and is known as the Taliban and the United States of America” .accessed November 15, 2022, https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/02/Agreement-For-Bringing-Peace-to-Afghanistan-02.29.20.pdf

კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის და კომპლექსური ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. [3]

აღნიშნული შეთანხმებების შემდეგ ავღანეთში ოპერატიული ვითარება გაუარესდა. აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ტერორისტული თავდასხმები 2020 წლის ივლის-სექტემბრის პერიოდში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, თითქმის 50%-ით იყო გაზრდილი. ავღანეთის მაშინდელი ხელისუფლება უსაფრთხოების მხრივ ვითარების გაუარესებას ციხიდან 5000 თალიბი პატიმრის გათავისუფლებას უკავშირებდა, რომელთა გამოშვება თალიბანმა მოლაპარაკებებში ჩართვის მთავარ პირობად დაასახელა. გათავისუფლებული თალიბები ბრძოლის ველზე არ უნდა დაბრუნებულიყვენენ, ამის პრევენცია თალიბანმა ვერ/არ მოახდინა. თალიბანმა ასევე ვერ შეძლო შეთანხმებით ნაკისრი მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა აღეკვეთა სხვა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ თავდასხმების მოწყობა. „ისლამური სახელმწიფო“ და სხვა რადიკალური უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები ახერხებენ ტერორისტული აქტების მოწყობას.

ავღანეთიდან საერთაშორისო კოალიციური ჯარების დაჩქარებული გასვლის ფონზე, თალიბანმა 2021 წლის ზაფხულში ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების შედეგად სტრატეგიულ პროვინციებზე კონტროლი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ თალიბანთან ბრძოლაში კოალიციური ჯარების საჰაერო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ადგილობრივი შეიარაღებული ძალები თითქმის უბრძოლველად თმობდნენ პოზიციებს. ტაჯიკეთის სასაზღვრო ბადახშანის პროვინციაში ბრძოლის დროს კი ავღანელმა სამხედროებმა მეზობელ ქვეყანას შეაფარეს თავი. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენდა 2021 წლის 15 აგვისტოს თალიბანის მებრძოლების დედაქალაქ ქაბულში შესვლა და პრეზიდენტის რეზიდენციის დაკავება. ამით დასრულდა ავღანეთის პრეზიდენტის აშრაფ ღანის მმართველობა, თალიბანმა ოფიციალურად გამოაცხადა გამარჯვება და მთელი ქვეყნის ტერიტორიის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა. ავღანეთის პრეზიდენტმა გადადგომის შემდეგ საკუთარი გარემოცვის წევრებთან ერთად ქვეყანა დატოვა და ამ გადაწყვეტილების მიზეზად ქვეყანაში სისხლისღვრის თავიდან აცილება დაასახელა. თალიბანმა გაავრცელა ოფიციალური მიმართვა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა, დაჰპირდა მათ ხელშეუხელბლობას და უსაფრთხოების გარანტიას.

2021 წლის 30 აგვისტოს[4] აშშ-ის შეიარაღებული ძალების ბოლო დანაყოფმა დატოვა ავღანეთი და ამით დასრულდა საერთაშორისო კოალიციის ყოფნის 2 ათეული წელი ავღანეთში. ქვეყნის ხელისუფლებაში თალიბანი დაბრუნდა.

თალიბანის „გამარჯვება“ და მთავრობის გამოცხადება

ავღანეთიდან ამერიკელი სამხედროების გასვლის შემდეგ თალიბანმა ავღანეთის აეროპორტი დაიკავა და გამარჯვება გამოაცხადა. რამდენიმე დღეში კი, კერძოდ 2021 წლის 7 სექტემბერს დაჯგუფებამ „დროებითი მთავრობის“ შემადგენლობა გამოაცხადა.

მთავრობის მეთაური მოძრაობის დამაარსებლის, მოლა ომარის, თანაშემწე **მოლა ჰოსეინ ახუნდი** გახდა, მის პირველ მოადგილედ კი თალიბანის პოლიტიკური ოფისის

[3] „Tavafogh ruy-e shiveye qar-e mozaqerat-e solh-e Afghanistan". Accessed 14 November, 2022, https://www.bbc.com/persian/afghanistan-55152313

[4] "1999-2001 The U.S. War in Afghanistan," Council on Foreign Relations, accessed November 16, 2022, https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan

ხელმძღვანელი **მოლა აბდოლღანი ბარადარი** დაინიშნა. თალიბანის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა „ჰაყანის ქსელის“ დამაარსებლის შვილმა **სარაჯოლდინ ჰაყანიმ** დაიკავა, რომელიც აშშ-ს ტერორისტთა სიაში ჰყავს შეყვანილი.

თავდაცვის მინისტრი **მოლა მოჰამად იაყუბია**, რომელიც თალიბანის დამაარსებელი მოლა ომარის ვაჟია. საგარეო საქმეთა მინისტრად მოულავი ამირხანი დაინიშნა. თალიბანის პრეს-სპიკერმა ზაბიულაჰ მუჯაჰიდმა კულტურის მინისტრის თანამდებობა დაიკავა.

მიუხედავად დაპირებისა, რომ ახალი მთავრობა მრავალფეროვანი იქნებოდა, თალიბანმა ის მაინც, ძირითადად, საკუთარი რიგებიდან დააკომპლექტა. მთავრობაში თანამდებობები არ ერგოთ ყოფილ პრეზიდენტ ჰამიდ ქარზაის და “ეროვნული შერიგების უმაღლესი საბჭოს“ მეთაურ აბდულა აბდულას, რომლებიც თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ მათთან თანამშრომლობაზე მზადყოფნას აცხადებდნენ. მთავრობის გამოცხადება ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში თალიბების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ფონზე მოხდა. [5]

თალიბანის დაბრუნების პირობებში, წინააღმდეგობას აგრძელებდა „ავღანეთის ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტი“, ლიდერ აჰმად მასუდის და ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტ ამდრულაჰ სალეჰის მეთაურობით. ისინი გამაგრებულები იყვნენ ფანჯშირის რეგიონში და დაახლოებით 1 თვის განმავლობაში თალიბანის მებრძოლებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ.[6] მიუხედავად მრავალგზის მოწოდებისა და თხოვნისა, „ავღანეთის ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტს“ დახმარება ვერ/არ გაუწიეს არც რეგიონულმა და არც რეგიონსგარეთა სახელმწიფოებმა.[7] საბოლოოდ, ფრონტის ლიდერები ტაჯიკეთში გადავიდნენ და თალიბანმა ფანჯშირზე კონტროლის დამყარება გამოაცხადა.

ირანი და ავღანეთი თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნებამდე

2001 წელს ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ დასრულდა „ისლამური საამიროს“ პერიოდი (1996-2001) და თალიბანის მმართველობა. ავღანეთში თალიბების დამარცხების შემდეგ, 2001 წლის ნოემბერში, გაერო-მ ავღანეთის მთავარი პოლიტიკური ძალები გერმანიაში, ბონის კონფერენციაზე, მიიწვია. აღნიშნულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა „ბონის შეთანხმებას“, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ავღანეთის „დროებითი მთავრობა“ და მის მეთაურად დაინიშნა ჰამიდ ქარზაი. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი დიპლომატიური როლი შეასრულა ირანმა. [8] ირანის მხარდაჭერა საერთაშორისო კოალიციის მოქმედებისა და ავღანეთში ახალი მთავრობის შექმნის მიმართ განპირობებული იყო თალიბანის მაშინდელ მთავრობასთან მტრული ურთიერთობებით.

---

[5] „Elam-e asami doulat-e moughat Taleban dar afghanestan; vazir-e qeshvar dar list-e tahrim-e amriqast”, radiofarda, accessed November 13, 2022, https://www.radiofarda.com/a/taliban-to-announce-first-members-of-new-govt-official/31448333.html?fbclid=IwAR2wJH17INTmHzcjp5kXlOEptAVY3oKPtZK1rhNIhYLlt_B8f4CaYRj6a70

[6]“ Panjshir, the last pocket of resistance, falls to Taliban”, Aljazeera, accessed November 17,2022, https://www.aljazeera.com/gallery/2021/9/7/photos-afghanistan-panjshir-the-last-pocket-of-resistance-falls-to-taliban

[7] “Resistance leader Massoud sees “opportunity for success’”, euronews, accessed November 16, 2022, https://www.euronews.com/2022/09/15/resistance-leader-massoud-sees-opportunity-for-success-in-afghanistan

[8] “Council on Foreign Relations”. “The U.S War in Afghanistan”. https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan

1996 წელს ავღანეთში თალიბების მმართველობის დამყარების შემდეგ, ავღანეთის შიიტი მოსახლეობის - ხაზარების მიმართ მკაცრმა მოპყრობამ ირანი თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ განაწყო. ორ ქვეყანას შორის ვითარება განსაკუთრებით 1998 წელს თალიბების მიერ ავღანეთის ჩრდილოეთით ქ. მაზარე შარიფში ირანის საკონსულოზე თავდასხმისა და 11 ირანელი დიპლომატის მკვლელობის შემდეგ დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ თეირანმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო კოალიციის ოპერაციას თალიბანის რეჟიმის წინააღმდეგ, დასავლეთთან დაძაბულ ურთიერთობებში მყოფი ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო მოსაზღვრე ავღანეთში ნატო-ს ძალების ყოფნა. ძირითადად, ეს ფაქტორი ხსნის, თეირანის „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას“ ავღანეთის მიმართ ორი ათეული წლის მანძილზე.

ირანი ავღანეთის ხელისუფლებას მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა. 2010 წელს New York Times-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ავღანეთში ირანის ელჩმა მაშინდელ პრეზიდენტ ჰამიდ ქარზაის დიდძალი თანხა გადასცა. პრეზიდენტმა ეს ფაქტი დაადასტურა და ბუნებრივად მიიჩნია, რადგან ავღანეთი ოფიციალურად იღებდა დახმარებას მეზობელი ირანიდან წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, 500-700 ათასი ევროს ოდენობით.[9] გარდა ფულადი დახმარებისა, ირანმა ჰერათის პროვინციასთან დამაკავშირებელი 122 კმ. სიგრძის გზატკეცილი გაიყვანა, თეირანი აშენებდა ასევე სკოლებს, გზებს, სარკინიგზო მაგისტრალებს, რომლებიც დასავლეთ ავღანეთს ირანის პორტ ჩაბაჰართან აკავშირებს.

Wikileaks-ის მონაცემებით, 2009-2010 წლებში ავღანეთში აშშ-ის საელჩოს მონაცემებით, ირანის მთავრობის წარმომადგენლები ავღანეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრებს აშშ-ის და სამშვიდობო კოალიციის საწინააღმდეგო პოლიტიკური კურსის გატარებისკენ მოუწოდებდნენ. ავღანეთის საკანონმდებლო ორგანოს 249 წევრიდან 44-ზე მეტი ირანიდან ფულის მიღებაში იყო ეჭვმიტანილი.[10]

ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების ყოფნის პერიოდში დასავლეთი ირანს თალიბების დახმარებაში ოფიციალურად ადანაშაულებდა. ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად, თალიბებთან ირანული იარაღის აღმოჩენა იყო. ამასთანავე, 2010 წელს ავღანეთში მყოფმა საერთაშორისო კოალიციის ძალებმა(ISAF) ყანდაჰარის პროვინციაში თალიბების ერთ-ერთი მეთაური დააპატიმრეს, რომელიც „ყოდსის“ ძალებთან იყო დაკავშირებული და ირანული იარაღი აღმოაჩნდა[11].

ირანის „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა“ ავღანეთის მიმართ გამომდინარეობდა თეირანის პოლიტიკური ინტერესებიდან, არ დაეშვა ავღანეთში დასავლეთის პოზიციების გამყარება და ეს თალიბანთან კავშირების შენარჩუნებითა და მათთვის გაწეული დახმარებით დაებალანსებინა.

ირანის პრაგმატული პოზიცია თალიბების ხელისუფლებაში დაბრუნების მიმართ

ირანს მოსაზღვრე ავღანეთთან მჭიდრო ისტორიულ-კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური კავშირები აქვს. ჰერათის პროვინციაში მცხოვრებ დარიზე მოლაპარაკე ეთნიკურ

---

[9]“ Insight: Iran’s “Great Game’ in Afghanistan” Reuters, accessed May 24, 2015, http://www.reuters.com/article/2012/05/24/us-afghanistan-iran-media-idUSBRE84N0CB20120524

[10] “Council on Foreign Relations”. “The U.S War in Afghanistan”. https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan

[11] Bill Roggio, “ISAF captures Qods Force-linked operative in Kandahar" , FDD’s Long War Journal, accessed November 14,2022, http://www.longwarjournal.org/archives/2010/12/exclusive_isaf_captu.php

ტაჯიკებთან, რომლებიც ავღანეთის მოსახლეობის 27%-ს შეადგენენ, ირანს ლინგვისტური, ხოლო ცენტრალურ და ჩრდილოეთ ავღანეთში მოსახლე ხაზარებთან, რომლებიც შიიტურ ისლამს აღიარებენ და მოსახლეობის 9%-ს შეადგენენ, რელიგიური კავშირები აქვს. ავღანეთში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს ირანის უსაფრთხოების გარემოზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. ასეთ პირობებში ცხადია, ირანის ხელისუფლებას საკუთარი მიდგომები შემუშავებული ჰქონდა ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნების შემთხვევისთვის.

თალიბანის დაბრუნება ხელისუფლებაში ირანისთვის არ ყოფილა სრულიად მოულოდნელი, მანამდე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. ირანი, რუსეთთან და ჩინეთთან ერთად ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რომელმაც თალიბანის დაბრუნების შემდეგ ავღანეთში საელჩო არ დახურა და ირანელმა დიპლომატებმა, მართალია - შეზღუდული რაოდენობით, გააგრძელეს საქმიანობა. ოფიციალური თეირანის პოზიცია ახალი რეალობისადმი შემდეგნაირია: თეირანის პოლიტიკა ავღანეთის მიმართ ეფუძნება თალიბანის ქმედებებს. 2021 წლის 28 აგვისტოს ირანის სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ „ირანი მხარს უჭერს ავღანელ ხალხს, მთავრობები - ხელისუფლებები მოდიან და მიდიან. ის, რაც რჩება ავღანელი ხალხია. ჩვენი ურთიერთობები მთავრობებთან დამოკიდებულია ჩვენ მიმართ მათი დამოკიდებულების, ურთიერთობების ხასიათზე...“.[12]

ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის მოქმედების პერიოდში ირანის ხელისუფლება თალიბანთან ფარული კავშირების დამყარებით ცდილობდა დაებალანსებინა აშშ-ის პოზიციები და გავლენა მოსაზღვრე ქვეყნებში. თალიბანთან განვითარებულმა ფარულმა ურთიერთობებმა თანდათან „ოფიციალური“ სახე მიიღო და დაახლოებით 2015 წლიდან ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები აღარ უარყოფდნენ მათთან შეხვედრას. ჯერ კიდევ თალიბანის მიერ ქაბულში შესვლამდე დაჯგუფების ოფიციალური დელეგაცია თეირანში იმყოფებოდა, სადაც გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები ავღანეთში „გარდამავალი მთავრობის“ შექმნის შესახებ. ამას ერთგვარი სკანდალიც მოყვა პრესაში, თუმცა ირანის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ თალიბანის დელეგაციის ვიზიტის შესახებ ავღანეთის მაშინდელი პრეზიდენტი აშრაფ ღანი ინფორმირებული იყო. ეს დაადასტურა ოფიციალურმა ქაბულმაც.[13]

ამდენად, აღწერილი პროცესების ფონზე, ირანის ხელისუფლების პრაგმატული დამოკიდებულება თალიბანის მთავრობაში დაბრუნების მიმართ მოულოდნელი არ ყოფილა. ირანი ცდილობს თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების რეალობას რაციონალურად მიუდგეს და ავღანეთთან არსებული მნიშვნელოვანი საკითხები - როგორიცაა **ტერორიზმის საფრთხე, ლტოლვილების ახალი ტალღა, ნარკოტიკების ტრაფიკი,** საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოაგვაროს. ამასთანავე, გააგრძელოს ეკონომიკური კავშირების გაღრმავება, რაც

---

[12] A.Farid Tookhy, “Iran’s Response to the Taliban’s Comeback in Afghanistan”, United States Institute of Peace, accessed November 15,2022, https://www.usip.org/sites/default/files/Afghanistan-Peace-Process_Irans-Response-Talibans-Comeback-Afghanistan.pdf

[13] “Taleban va Iran : chegune doshman-e sabegh dust shodand”, Alarabiya, accessed November 10,2022, https://farsi.alarabiya.net/afghanistan/2021/09/17/%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86-%D9%88-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86%D8%9B-%DA%86%DA%AF%D9%88%D9%86%D9%87-%D8%AF%D8%B4%D9%85%D9%86%D8%A7%D9%86-%D8%B3%D8%A7%D8%A8%D9%82-%D8%AF%D9%88%D8%B3%D8%AA-%D8%B4%D8%AF%D9%86%D8%AF

საერთაშორისო იზოლაციის პირობებში ირანისთვის მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო კავშირები უცვლელი დარჩა - ავღანეთი ირანული პროდუქციის ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა -აქედან მიღებული შემოსავალი წლიურად დაახლოებით 4 მილიარდი დოლარია.

ირანის თალიბანთან ურთიერთობის განვითარებას შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ ბოლო ათწლეულში დაჯგუფება იდეოლოგიური გარდაქმნის პირობებში საკუთარ თავს წარმოაჩენს როგორც „ეროვნულ ინკლუზიურ დაჯგუფებას, რომელიც წარმოადგენს ყველა ავღანელს“.

ტერორიზმის საფრთხე

ავღანეთის მთავრობაში დაბრუნებული თალიბანი ქვეყანაში სხვა ტერორისტული დაჯგუფების მოქმედებებს ვერ უმკლავდება. ავღანეთის სხვადასხვა რეგიონში, ასევე ქაბულის შიიტებით დასახლებულ რაიონებში „ისლამური სახალიფოს ხორასნის დაჯგუფება“ მასშტაბური ტერაქტების მოწყობას ახერხებს.

ავღანეთიდან ირანში ტერორიზმის გადადინების საფრთხე თეირანისთვის რეალური გახდა თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნებიდან დაახლოებით 1 წელიწადში. 2022 წლის ოქტომბერში შირაზში[14], „შაჰჩერაღის სამლოცველოში“, ტერაქტი მოხდა, რომლის შედეგადაც დაიღუპა 15 ადამიანი და დაშავდა 40-მდე. ტერატქზე პასუხისმგებლობა კი „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. მოგვიანებით ირანში აღნიშნულ ტერაქტთან დაკავშირებით დაკავებული პირების ნაწილი ავღანეთის მოქალაქე და სწორედ, ავღანეთში მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს ხორასნის დაჯგუფებასთან“ კავშირში აღმოჩნდა.[15]

ავღანეთიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხე, ავღანეთში „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედების პირობებში, შესაძლოა ირანისთვის კიდევ უფრო გაიზარდოს და ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცეს.

ლტოლვილების საკითხი

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც ირანს ავღანეთის ფაქტობრივ მმართველებთან ურთიერთობების განვითარების აუცილებლობისკენ უბიძგებს, არის ავღანელი ლტოლვილების საკითხი და საზღვრების უსაფრთხოება. ამ ეტაპზე ირანში დაახლოებით 3.5 მილიონი ავღანელია, მათი დიდი ნაწილი არალეგალურადაა ქვეყანაში. თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ავღანეთიდან ირანში წამსვლელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ირანი ყოველდღიურად ცდილობს მოიგერიოს ავღანელი ლტოლვილების ნაკადი და საზღვრის კვეთის შემდეგაც დააბრუნოს ავღანელები სამშობლოში.[16]

ავღანელი ლტოლვილები ირანში პოპულარობით არ სარგებლობენ. მათ მიმართ დამოკიდებულება გაუარესდა 2022 წლის აპრილში, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქ.

---

[14] “Iran Arrests 26 Foreigners It Says Were behind Shiraz Mosque Attack”, Radio Free Europe, accessed November 10, 2022, https://www.rferl.org/a/iran-arrests-foreigners-shiraz-mosque-attack/32119313.html

[15] “All of Those Involved in Shiraz Terror Attack Arrested: Iran Intelligence Ministry”, Tasnim News Agency, accessed November 16, 2022, https://www.tasnimnews.com/en/news/2022/11/07/2800386/all-of-those-involved-in-shiraz-terror-attack-arrested-iran-intelligence-ministry

[16] “ Iran fenahjuian-e gorikht-e az dast-e Taleban ra majbur be bazgasht miqonad”, BBCPersian, accessed November 15,2022,https://www.bbc.com/persian/afghanistan-59627788

მაშჰადში ავღანელმა სამი შიიტი სასულიერო პირი დანით დაჭრა. ამის შემდეგ დაიწყო ავღანელების ქვეყნიდან გაძევების მოთხოვნა. ავღანელებისადმი მწვავე დამოკიდებულების გამო ჰერათში მდებარე ირანის საკონსულოს შენობასთან ავღანელებმა საპროტესტო აქცია გამართეს და საკონსულოზე შტურმის დაწყება სცადეს.[17] არსებობს მოსაზრება, რომ ირანი ავღანელ ლტოლვილებს რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი ინტერესების დაცვისთვის ბრძოლაში იყენებს.[18] არსებული მონაცემებით, ირანმა დაახლოებით 2012 წლიდან სირიაში მებრძოლ ბაშარ ალ-ასადის მომხრე გასამხედროებულ დაჯგუფებაში (the Fatemiyoun Army) 50 000-მდე ავღანელის რეკრუტირება მოახდინა, ანაზღაურებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, ირანში ცხოვრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ. სირიის კონფლიქტში დაახლოებით 5000 ავღანელი დაიღუპა და 4000 დაშავდა.[19] საჭიროების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ირანმა სირიაში გამოცდილი ავღანელი მებრძოლები ავღანეთში „ისლამური სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად გამოიყენოს.

ნარკოტიკების ტრაფიკი

ავღანეთში წლების განმავლობაში მსოფლიოში მოხმარებული ოპიუმის ძირითადი ნაწილი, დაახლ. 90% იწარმოებოდა. მისი 40%-ის ტრანსპორტირება კი ირანის საზღვრის გავლით ხდებოდა. ირანში ყოველწლიურად ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების მზარდი რაოდენეობის გამო (130000) კი ავღანეთიდან ნარკოტიკების ტრაფიკის კონტროლი ირანისთვის მნიშვნელოვანია. გასული წლების განმავლობაში ირანი მოუწოდებდა დასავლეთს უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინა ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

თალიბანმა ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ აკრძალა ოპიუმის წარმოება, გაყიდვა და ექსპორტი.[20] ამ საკითხის მალევე მოგვარება ნაკლებად სავარაუდოა. კოალიციური ძალების გასვლის შემდეგ ამ პრობლემასთან გამკლავება ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის სასაზღვრო ძალებს, ძირითადად, მხოლოდ საკუთარი ძალებით მოუწევთ.

წყლის პრობლემა

ირანისა და ავღანეთის მეზობლურ ურთიერთობებზე გავლენას ახდენს ასევე წყალთან დაკავშირებული პრობლემა. მდინარე ჰელმანდი, რომელიც ქაბულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჰინდუქუშის მთებიდან მოედინება, 1188 კმ.-ზე ირანის სისთანის და ბელუჯისთანის პროვინციას ესაზღვრება. ავღანეთის რამდენიმე კაშხალი და ჰელმანდის პროვინციის საირიგაციო სისტემა მდ. ჰელმანდზეა დამოკიდებული. ამ მდინარის წლის რესურს იყენებს

[17] Rupert Stone “For Tehran, Afghanistan is a problem not an opportunity”, Middle East Eye , November 14,2022,https://www.middleeasteye.net/opinion/iran-afghanistan-taliban-problem-not-opportunity

[18] Erik E.Mueller, Andrew Radin, “Afghan Refugees are being Recrutes to join an Iranian Paramilitary”, The Rand Blog, accessed November 13, 2022, https://www.rand.org/blog/2021/11/afghan-refugees-are-being-recruited-to-join-an-iranian.html

[19] Ahmad Shuja Jamal, “The Fatemiyoun Army: Reintegration into Afghan Society”, United States Institute of Peace, accessed November 10, 2022,https://www.usip.org/sites/default/files/2019-03/sr_443-the_fatemiyoun_army_reintegration_into_afghan_society-pdf_0.pdf

[20] “Taleban qosht-e mavad-e makhdar dar Afghanestan ra mamnu qard”, voanews ,accessed November 14,2022,https://ir.voanews.com/a/afghanistan-bans-opium-farm/6513123.html

ასევე ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებიც. 1973 წელს ირანსა და ავღანეთს შორის წყლის შესახებ შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც ირანს წამში 26 კუბური მეტრი წყლის გამოყენების უფლება ეძლეოდა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა. 1999 წელს თალიბებმა ირანს წყალი გადაუკეტეს, რამაც ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა. წყლის საკითხი ავღანეთსა და ირანს შორის კვლავ მოუგვარებელია.[21]

თალიბანის მთავრობაში დაბრუნების შემდეგ, ირანის სისთანისა და ბელუჯისთანის პროვინციის მოსახლეობა სატვირთოების ავღანელ მძღოლებს დაუპირისპირდა წყლის სიმცირის საკითხის გამო.[22] ინციდენტში ირანის სასაზღვრო უსაფრთხოების ძალებიც ჩაერთნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ირანელებში თალიბანის მიმართ ნეგატიური განწყობაა, არც თუ შორეულ წარსულში, მათი პირველი მმართველობის პერიოდში, განვითარებული მოვლენების გამო. შესაბამისად, ხელისუფლებას მოუწია ფრთხილი რიტორიკა შეენარჩუნებინა ავღანეთის ახალი ხელისუფლების მიმართ და მედიაში შესაბამისი პროპაგანდა განეხორციელებინა. ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ ავღანეთის მოვლენებმა აჩვენა აშშ-ის რეგიონის უსაფრთხოებაზე უარყოფითი გავლენა და მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევა არის ერთადერთი ეფექტიანი პასუხი. ასევე, ირანის მედიასაშუალებები წერდნენ, რომ აშშ-ის „ისტორიული მარცხი“ არის დასაწყისი აშშ-ის გავლენის დასასრულისა რეგიონში. „ფარს-ნიუსმა“ კი ეს მოვლენები ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგეებზე - რეფორმატორებზე - თავდასხმისთვის გამოიყენა, რომლებიც დასავლეთისადმი შედარებით ლოიალურად განწყობილ ჯგუფად მიიჩნევა. აღნიშნული გაზეთის ინფორმაციით, ავღანეთის მოვლენებმა და, კერძოდ, აშშ-ის „დამამცირებელმა გაქცევამ“ აჩვენა რომ აშშ არ არის უძლეველი. ულტრაკონსერვატორული გაზეთი „ქეიჰანი“ კი უფრო შორს წავიდა და თალიბანის მმართველობაში მყოფი ავღანეთი „წინააღმდეგობის ღერძის“[23] შემადგენელ ნაწილად დაასახელა. ამავე გაზეთის ინფორმაციით, მათთან ეკონომიკური კავშირების გაგრძელება და. კერძოდ, საწვავის ექსპორტი ირანის ეკონომიკას წაახალისებს.

აღნიშნული მიდგომების განხორციელება ირანის ხელისუფლებამ თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნებიდან მალევე დაიწყო. 2021 წლის ოქტომბერში ირანის მთავრობამ თალიბანთან პირველი სავაჭრო ეკონომიკური შეთანხმება გააფორმა. მხარეები შეთანხმდნენ, ბუნებრივი აირის მიწოდების მიზნით ირანიდან ავღანეთში მილსადენის გაყვანაზე (დოყარუნიდან-ესლამყალემდე) და სასაზღვრო პუნქტების 24 საათიან მუშაობაზე. დაიგეგმა სავაჭრო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლის 3 მლრდ. დოლარამდე გაზრდა.[24]

---

[21] Reuters, “Great Game’ in Afghanistan”

[22] Rupert Stone “For Tehran, Afghanistan is a problem not an opportunity”, Middle East Eye , November 14,2022,https://www.middleeasteye.net/opinion/iran-afghanistan-taliban-problem-not-opportunity

[23] 2002 წელს აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს ირანი მოიხსენიებოდა „ბოროტების ღერძის“ ნაწილად ერაყთან და ჩრდილოეთკორეასთან ერთად. მოგვიანებით, ამის საპასუხოდ, ირანმა შექმნა „წინააღმდეგობის ღერძი“ - ირანი, სირია, ჰეზბოლა.

[24] “Iran ba goruh-e Taleban ieq tavafoghnameye Tejari 16 madey emza qard”, accessed November 16,2022, https://www.rfi.fr/fa/%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86/20211006-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%A8%D8%A7-%DA%AF%D8%B1%D9%88%D9%87-%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86-%DB%8C%DA%A9-%D8%AA%D9%88%D8%A7%D9%81%D9%82-%D9%86%D8%A7%D9%85%D9%87-

2021 წლის შემოდგომაზე თეირანმა ავღანეთის შესახებ კონფერენციას უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და პაკისტანის წარმომადგენლებმა, ხოლო ონლაინ ფორმატში ჩაერთნენ რუსეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და გაერო-ს გენერალური მდივანი. კონფერენციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომლის მიხედვითაც რეგიონის ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ ავღანეთში არსებული რთული სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ვითარების გამო. რეგიონის ქვეყნების წარმომადგენელებს მიაჩნიათ, რომ ავღანეთში არსებული პრობლემური საკითხების მოგვარების გასაღები „ინკლუზიური პოლიტიკური სისტემის" ჩამოყალიბებაა, ქვეყნის ყველა ჯგუფის მონაწილეობით.

ორ ქვეყანას შორის არსებული პრაგმატული ურთიერთობების ტენდენციის გაგრძელება მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია თალიბანის მმართველობის ფორმასთან და ხასიათთან. მიუხედავად ოფიციალურად დეკლარირებული პოზიციისა, თალიბანის ახლადფორმირებულ „დროებით მთავრობაში" სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წევრები არ შესულან. პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნილი ტერორისტული დაჯგუფება თალიბანი ირანისთვის სანდო, გრძელვადიან პარტნიორად შეიძლება არ აღიქმებოდეს. მომავალში სხვა რეგიონული და საერთაშორისო აქტორის მიერ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, თალიბანის ირანის წინააღმდეგ გამოყენების საფრთხე იარსებებს (თუნდაც რეგიონში შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების კონტექსტში). ასეთ ვითარებაში კი ირანის პოზიციებისა და მიდგომების მკვეთრი ცვლილება გამორიცხული არ არის.

გამოყენებული წყაროები - References:

1. Alexandris, Ioannis, „Iran-Taliban Relations: What to Expect," Accessed November 15, 2022, https://globalriskinsights.com/2021/11/iran-taliban-relations-what-to-expect/
2. Ali, Afshari,"jomhuriy-e eslamiy-e Iran, Taleban va aghaz-e zudhengam-e ekhtelafat", DW, accessed November 17, 2022, https://www.dw.com/fa-ir/%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1%DB%8C-%D8%A7%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85%DB%8C-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86-%D9%88-%D8%A2%D8%BA%D8%A7%D8%B2-%D8%B2%D9%88%D8%AF%D9%87%D9%86%DA%AF%D8%A7%D9%85-%D8%A7%D8%AE%D8%AA%D9%84%D8%A7%D9%81%D8%A7%D8%AA/a-59623798
3. Azadi, Ali, "2 negarani-e bozorg-e Iran darbarey-e Taleban", Eghtesadnews, accessed November 16, 2022, https://www.eghtesadnews.com/%D8%A8%D8%AE%D8%B4-%D8%AA%D8%AC%D8%A7%D8%B1%DB%8C-%DB%B1%DB%B6-%D9%85%D8%A7%D8%AF%D9%87-%D8%A7%DB%8C-%D8%A7%D9%85%D8%B6%D8%A7-%DA%A9%D8%B1%D8%AF

%D8%A7%D8%AE%D8%A8%D8%A7%D8%B1-
%D8%B3%DB%8C%D8%A7%D8%B3%DB%8C-57/442254-
%D9%86%DA%AF%D8%B1%D8%A7%D9%86%DB%8C-
%D8%A8%D8%B2%D8%B1%DA%AF-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-
%D8%AF%D8%B1%D8%A8%D8%A7%D8%B1%D9%87-
%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86

4. Daragahi, Borzou, "Iran spent years preparing from a Taliban victory. It may still get stung", Atlantic Council, accessed November 15,2022, https://www.atlanticcouncil.org/blogs/iransource/iran-spent-years-preparing-for-a-taliban-victory-it-may-still-get-stung/
5. Elias, Firas,"The Rise of the Taliban and Iran's Critical Problem in Afghanistan", Fikra Forum, accessed November 16, 2022, https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/rise-taliban-and-irans-critical-problem-afghanistan
6. Fathollah-Nejad , Ali, Azizi, Hamidreza, "Iran and the Taliban after the US fiasco in Afghanistan", accessed November 17, 2022, https://www.mei.edu/publications/iran-and-taliban-after-us-fiasco-afghanistan
7. Mueller , Erik E, Radin,Andrew" Afgan Refugees are being recruited to join an Iranian paramilitary", accessed November 15, 2022,https://www.rand.org/blog/2021/11/afghan-refugees-are-being-recruited-to-join-an-iranian.html
8. Jamal, Ahmad Shuja, "The Fatemiyoun Army: Reintegration into Afghan Society", United States Institute of Peace, accessed November 17, 2022, https://www.usip.org/sites/default/files/2019-03/sr_443-the_fatemiyoun_army_reintegration_into_afghan_society-pdf_0.pdf
9. Kachir, Yathart, "Why are the Taliban Wooing a Persecutes Afghanistan minority group", The Diplomat, accessed November 17, 2022, https://thediplomat.com/2020/05/why-are-the-taliban-wooing-a-persecuted-afghanistan-minority-group/
10. Majid, Izadfenahi, "manaf-e jomhurie eslami az tasalot-e Taleban bar afghanestan dar chist"", Euronews, accessed Novemebr 16,2022, https://per.euronews.com/2021/09/19/taliban-ruling-afghanistan-what-are-iran-interests
11. Gohek, Sajjan M, "Iran's Ambiguous Role in Afghanisatan", Combating Terrorism Center, accessed November 17,2022,https://www.atlanticcouncil.org/event/how-the-taliban-takeover-impacts-iran/
12. Hansen, Christian, Kousary, Halimullah, "Can Iran get along with the Taliban", War on the Rocks, accessed November 15, 2022,https://warontherocks.com/2022/06/can-iran-get-along-with-the-taliban/
13. Stone, Rubert,"For Tehran, Afghanistan is a problem not an opportunity",Middleeasteye, accessed November 16,2022,https://www.middleeasteye.net/opinion/iran-afghanistan-taliban-problem-not-opportunity
14. Tookhy, Farid, "Iran's Response to the Taliban's Comeback in Afghanistan", United States Institute of Peace, accessed November 17,2022,https://www.usip.org/sites/default/files/Afghanistan-Peace-Process_Irans-Response-Talibans-Comeback-Afghanistan.pdf
15. BBCPersian. " Iran fenahjuyan-e gorikhte az dast-e taleban ra majbur be bazgasht miqonad", accessed November 17, 2022, https://www.bbc.com/persian/afghanistan-59627788

16. BBCPersian, “ravabet-e Iran va Taleban chegun-e ast”, November 15, 2022, https://www.bbc.com/persian/iran-features-57705068
17. BBCPersian,”faian-e dargiri bein-e niruhaiye Taleban va marzbanan-e irani dar nimruz”, accessed November 16, 2022,https://www.bbc.com/persian/afghanistan-59495857
18. https://per.euronews.com/2021/09/19/taliban-ruling-afghanistan-what-are-iran-interests
19. Alarabiya, “Taleban va Iran:”chegun-e doshmanan-e sabegh dust shodand”, accessed November 15,2022, https://farsi.alarabiya.net/afghanistan/2021/09/17/%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86-%D9%88-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86%D8%9B-%DA%86%DA%AF%D9%88%D9%86%D9%87-%D8%AF%D8%B4%D9%85%D9%86%D8%A7%D9%86-%D8%B3%D8%A7%D8%A8%D9%82-%D8%AF%D9%88%D8%B3%D8%AA-%D8%B4%D8%AF%D9%86%D8%AF
20. StateGov,“Agreement for Bringing peace to Afghanistan between the Islamic Emirate of Afghanistan which is not recognized by the United states as a state and is known as the Taliban and the United States of America” .accessed November 15, 2022, https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/02/Agreement-For-Bringing-Peace-to-Afghanistan-02.29.20.pdf
21. Council on Foreign Relations, “1999-2001 The U.S. War in Afghanistan,” accessed November 16, 2022, https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan
22. Iribnews, “negah-e jomhurie eslami-e Iran be Taleban” accessed November 17, 2022, https://www.iribnews.ir/fa/news/3190836/%D9%86%DA%AF%D8%A7%D9%87-%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1%DB%8C-%D8%A7%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85%DB%8C-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%A8%D9%87-%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86
23. RFI, “Iran ba goruh-e Taleban ieq Tavafoghname-ye Tejari 16 madei emza qard”, accessed November 15, 2022, https://www.rfi.fr/fa/%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86/20211006-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%A8%D8%A7-%DA%AF%D8%B1%D9%88%D9%87-%D8%B7%D8%A7%D9%84%D8%A8%D8%A7%D9%86-%DB%8C%DA%A9-%D8%AA%D9%88%D8%A7%D9%81%D9%82-%D9%86%D8%A7%D9%85%D9%87-%D8%AA%D8%AC%D8%A7%D8%B1%DB%8C-%DB%B1%DB%B6-%D9%85%D8%A7%D8%AF%D9%87-%D8%A7%DB%8C-%D8%A7%D9%85%D8%B6%D8%A7-%DA%A9%D8%B1%D8%AF
24. Voanews, “Taliban disrupt Afghan Women’s rally supporting Iran protests”, accessed November 17, 2022, https://www.voanews.com/a/taliban-disrupt-afghan-women-s-rally-supporting-iran-protests-/6768633.html
25. France24, “Taliban fire into air to disperse women’s rally backing Iran protests”, accessed November 15, 2022,https://www.france24.com/en/live-news/20220929-taliban-fire-into-air-to-disperse-women-s-rally-backing-iran-protests
26. Iran International, “Clashes reported between Iranian, Taliban forces at border”,accessed November 15, 2022, https://www.iranintl.com/en/202207313831

27. Radio Free Europe, “At least one person killed as Taliban, Iranian border forces exchange fire”, accessed November 17, 2022,https://www.rferl.org/a/iran-taliban-border-clash-one-dead/31967695.html
28. Radiofarda, „Elam-e asami doulat-e moughat Taleban dar afghanestan; vazir-e qeshvar dar list-e tahrim-e amriqast”, accessed November 13, 2022, https://www.radiofarda.com/a/taliban-to-announce-first-members-of-new-govt-official/31448333.html?fbclid=IwAR2wJH17INTmHzcjp5kXlOEptAVY3oKPtZK1rhNIhYLlt_B8f4CaYRj6a70
29. Aljazeera “ Panjshir, the last pocket of resistance, falls to Taliban”, accessed November 17,2022,https://www.aljazeera.com/gallery/2021/9/7/photos-afghanistan-panjshir-the-last-pocket-of-resistance-falls-to-taliban
30. Euronews, “Resistance leader Massoud sees “opportunity for success’”, accessed November 16, 2022, https://www.euronews.com/2022/09/15/resistance-leader-massoud-sees-opportunity-for-success-in-afghanistan
31. Radio Free Europe“, Iran Arrests 26 Foreigners It Says Were behind Shiraz Mosque Attack”, accessed November 10, 2022, https://www.rferl.org/a/iran-arrests-foreigners-shiraz-mosque-attack/32119313.html
32. Tasnim News Agency, “All of Those Involved in Shiraz Terror Attack Arrested: Iran Intelligence Ministry”, accessed November 16, 2022, https://www.tasnimnews.com/en/news/2022/11/07/2800386/all-of-those-involved-in-shiraz-terror-attack-arrested-iran-intelligence-ministry